საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე: ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირის №78-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის ტერიტორიის (ს/კ 01.14.10.001.093) საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესახებ

შპს „გრანატ ინვესთმენთი“-ს (დირექტორი ნურიდდინ შადმანოვი) თხოვნით, ჩვენს მიერ 2018 წლის სექტემბერში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირის №78-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ს/კ 01.14.10.001.093 ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ.თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირის №78-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ს/კ 01.14.10.001.093 ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისა და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების მიერ, 2017 წლის სექტემბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი წამყვანი ინჟ. გეოლოგი ნ. ილაშვილი და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი. თიხოვანი გრუნტების ნიმუშების გამოკვლევა გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზების და ძირითადი ქანების გამოცდები, ჩატარებულია განყოფილების გეოტექნიკურ ლაბორატორიაში, დ. ახობაძის ხელმძღვანელობით.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე .....13 გვ;
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ;
3. მიწერილობა..... 1 გვ;

4. წყლის ქიმიური ანალიზების ცხრილები და დასკვნა..... 6 გვ;
5. გრუნტის ლაბორატორიული კვლევის შედეგები.....2 გვ;
6. გრუნტის სიმტკიცის მახასიათებლების გამოთვლა ..... 6 გვ;
7. გრუნტის კომპრესიული გამოცდის შედეგები..... 6 გვ;
8. გრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები..... 6 გვ;
9. მოედნის ტოპოგეგმა ..... 1 ფურც;
10. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები..... 3 ფურც;
11. მოედნის გეოლოგიური ჭრილი..... 6 ფურც.

პროექტით, საკვლევ მოედანზე, უნდა აშენდეს 7-8 სართულიანი მართკუთხა ფორმის საცხოვრებელი შენობა, სარდაფით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინა ბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით, ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევების შემდეგ.

სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასებისათვის ტოპოგეგმაზე მონიშნულ ადგილებში, თვითმავალი საბურღი დანადგარით „უბგ-1ვს“, მექანიკური სვეტური მეთოდით, გაიბურღა 8 ჭაბურღილი, დიამეტრით 160 მმ-მდე, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით, სიღრმით 20–23 მ. შესრულებული სამუშაოს მთლიანი მოცულობა 171,00 გრძ. მეტრია. საკვლევი ტერიტორიის ამგები თიხოვანი გრუნტებიდან, აღებულია დაურღვეველი სტრუქტურის 24 ნიმუში (მონოლითი). ძირითადი ქანების მასივის მდგენელი ფენებიდან – არგილითებიდან და ქვიშაქვებიდან, საკონტროლოდ, აღებულია 8 ნიმუში (4–4 ნიმუში თითოეული ფენიდან). ასევე აღებული იქნა გრუნტის წყლის 5 სინჯი, მათი ქიმიზმისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების მიმართ აგრესიული თვისებების დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად მოედანზე ტერიტორიის ამგებ გრუნტებში გამოიყო 4 საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (სგე):

I სგე – თიხა ნახევრადმყარი (ფენა 2);

II სგე – თიხნარი ძნელპლასტიკური (ფენა 3);

III სგე – ძირითადი ქანი გამოფიტული, ელუვირებული ზონა (ფენა 4);

IV სგე – ძირითადი ქანი, ნაკლებად გამოფიტული (ფენა 5).

ნაყარი (ფენა 1), ქვაბულით მოსახსნელია და სგე-ად არ განხილულა,

ანგარიშში საკმაოდ ვრცლადაა მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, კლიმატური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება, მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული გამოკვლევების ანალიზის საფუძველზე ავტორი იძლევა წინადადებას მოცემული შენობის ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გავრცელებულია მიწის ზედაპირიდან 4.0-4.7მ სიღრმეზე. წყალი იჩენს სხვადასხვა ინტენსივობის აგრესიულობას პორტლანდ ცემენტისაგან დამზადებული ბეტონის ნაკეთობის მიმართ.

დასკვნა

ქ.თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირის №78-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ს/კ 01.14.10.001.093 ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ჩვენს მიერ გამოთქმული ცალკეული შენიშვნები ჩატარებული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა მხედველობაში და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ რომ, წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ინჟინერ-გეოლოგი, პროფესორი — გ. ჭოხონელიძე

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

МТН № 007499

Москва 23 декабря 1975 г.

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 28 ноября 1975 г. (протокол N 18)

Чохонелидзе Гуго Ильичу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей
Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей
Аттестационной Комиссии

Копия

Д И П Л О М

Я № I68I69

Настоящий диплом выдан Чохонелидзе Гуга Ильичу в том, что он в I96I году поступил в Грузинский ордена Трудового Красного Знамени политехнический институт имени В.И.Ленина и в I972 году окончил полный курс названного института по специальности Гидрогеология и инженерная геология

Решением Государственной экзаменационной комиссии от 30 июня I972 года.

Чохонелидзе Г.И.

присвоена квалификация горного инженера-гидрогеолога

Председатель Государственной экзаменационной комиссии

М.П. Ректор

Секретарь

Город Тбилиси " 2 " апреля I973 года.

Регистрационный № ГЕ-205.



საქართველოს რესპუბლიკა
მოქალაქის პირადობის მოწმობა
პირადი № 01026010539
სახელი გუგა
გვარი ფხაკაძე
დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.
დაბადების ადგილი თბილისი
ეროვნება ------
N° ღ 0266413
პირადი ხელმოწერა



მისამართი ------
მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მეორე ქვეგანყოფილება
გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.
მოქმედების ვადა ------
ბ.ა.
თანამდებობის პირის ხელმოწერა

სახელი, გვარი, მამის სახელი	ჭოხონელიძე ბუბა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, ვასელიძის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუ სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინრის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია.	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტე გრუნტების მექანიკის და ფუძე-საძირკვლების მიმართულე ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფიე „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები" (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები" (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავის, სოხუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიური პირობებ გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობასთ დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები" 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები" (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები".
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით